ო, ბილალ, მომიყევი საუკეთესო საქმეზე, რომელიც გააკეთე ისლამში

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დილის ლოცვის დროს ბილალს უთხრა: «ო, ბილალ, მომიყევი საუკეთესო საქმეზე, რომელიც გააკეთე ისლამში, ჭეშმარიტად, მე გავიგონე შენი ფეხსაცმლის ხმა ჩემს წინ სამოთხეში», ბილალმა თქვა: მე არ გამიკეთებია ისეთი მნიშვნელოვანი საქმე, გარდა იმისა, როცა ავიღებ მცირე განბანვას დღისით თუ ღამით ნებისმიერ დროს, მე იმ განბანვით ვლოცულობ იმდენს, რამდენიც დაწერიალია ჩემზე, რომ ვილოცო».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ძილში სამოთხე ესიზმრა, მან ბილალ ბინ რაბააჰს უთხრა: მომიყევი იმ მადლიერ საქმეზე, რომელიც გააკეთე ისლამში? რადგან მე გავიგონე შენი ფეხსაცმელების ხმა, როგორ მოძრაობდა ჩემს წინ სამოთხეში. ბილალმა თქვა: მე არ გამიკეთებია ისეთი მნიშვნელოვანი საქმე, გარდა იმისა, როცა მოვშლი პატარა განბანვას, შემდეგ ავიღებ ვუდუს დღისით თუ ღამით ნებისმიერ დროს, მე იმ ვუდუთი ვლოცულობ, ღმერთის კმაყოფილებისთვის ვასრულებ ნებაყოფილობით ლოცვას იმდენს, რამდენიც დაწერიალია ჩემზე, რომ ვილოცო.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/65849